AKADEMOS

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021 წ.

ბრძანება N2-96-21

შპს „აკადემოსის" დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ

შპს „აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „აკადემოსის" დამრიგებლის მუშაობის დებულება და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. ახალი დამრიგებლის მუშაობის დებულების ძალაში შესვლისთანავე მოქმედი დებულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

4. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს „აკადემოსის"

დირექტორი /თამარ ჩანტლაძე/

ვამტკიცებ
შპს „აკადემოსის“ დირექტორი
თამარ ჩანტლაძე
30.12.21წ. ბრძანებით N 2-96-21

შპს „აკადემოსის” დამრიგებლის მუშაობის დებულება

თბილისი
2021

მუხლი 1. სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები

1.1. სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ეფუძნება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს, და შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანებისა მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის საფუძველზე.

1.2. ყველა კლასს თავისი დამრიგებელი ჰყავს. მათ კანდიდატურას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით.

მუხლი 2. კლასის დამრიგებლის უფლებები

1.კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია:

1.1.მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება;

1.2.სკოლაში დაიბაროს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

1.3. ისარგებლოს მასწავლებლის ყველა უფლებით.

მუხლი 3. კლასის დამრიგებელის ფუნქცია/ვალდებულებები

1. კლასის დამრიგებელი ვალდებულია:

1.1. შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ- დემოგრაფიული მონაცემები;

1.2. დროულად აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ;

1.3. ყველა სემესტრის ბოლოს აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ;

1.4. მოახდინოს მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება;

1.5. გამოიკვლიოს მოსწავლის მიერ ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზები და აცნობოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;

1.6. საგნის მასწავლებლებისგან პერიოდულად მიიღოს ინფორმაცია მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა და ზოგადი წარმატებების შესახებ;

1.7. დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი უნარჩვევების განვითარებაში. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი პროფესიის არჩევაში;

1.8. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს სკოლის დირექციას;

1.9. ჩაატაროს მშობელთა და მოსწავლეთა კრებები;

1.10. საჭიროების შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაუგზავნოს წერილობითი მოწვევა ან დაუკავშირდეს ტელეფონით;

1.11. განახორციელოს საკლასო ოთახში განთავსებული ინვენტარის მოვლა-პატრონობა;

1.12. საგაკვეთილო პერიოდში სკოლიდან გასვლა შეათანხმოს დირექტორთან ან დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში;

1.13. აწარმოოს დამრიგებლის პორტფოლიო;

1.14. განახორციელოს კონტროლი ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების ნიშნების დროულად ზუსტად ასახვაზე;

1.15. მოაწესრიგოს თავის სადამრიგებლო კლასისა და მოსწავლეების დოკუმენტაცია;
1.16. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება;
1.17.დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) დამრიგებელი ვალდებულია არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, ხოლო დისტანციური სწავლების შემთხვევაში ჩაატაროს დისტანციურად;
1.18. კვირაში ერთხელ, დამრიგებელი ვალდებულია I-IV კლასებში, ჩაატაროს კლასისთვის ,,კითხვის საათი".
1.19. საბაზო-საშუალო კლასის საფეხურის კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატარონ სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით, ხოლო დისტანციური სწავლების შემთხვევაში ჩაატაროს დისტანციურად;
1.20. განახორციელოს სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
1.21. უზრუნველყოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევში, ამ მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მიმღები სკოლისათვის ინფორმაციის მიწოდება;
1.22. დირექტორის დავალებით უზრუნველყოს ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის მშობლისათვის დავალიანების არსებობისა და მისი გადახდის შესახებ ინფორმაციის შეხსენება(დამრიგებელს არ აქვს ინფორმაცია დავალიანების რაოდენობაზე და გრაფიკზე);
1.23. დამრიგებელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს და არ გაამჟღავნოს ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაცია;
1.24. ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნოს მშობლებს შვილის მოსწრების საკითხები. დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორე მშობელთან ან მის თანდასწრებით საუბარი. თუ მოსწავლე სკოლას აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია გაიგოს გაცდენის მიზეზი ყოველი ასეთი შემთხვევისას. ყოველივე ამის მისაღწევად აუცილებელია, რომ დამრიგებელი პერიოდულად ეკითხებოდეს საგნების მასწავლებლებს მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა და ზოგადი წარმატებების შესახებ;
1.25. მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეებს მეცადინეობის საათებში, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო წლიური ნიშანი დაბალია. სკოლა ვალდებულია დაიცვას შედგენილი ანალიზის კონფიდენციალურობა;
1.26.რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;
1.27. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
1.28. სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის

საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით.

2. დამრიგებელი არის სკოლის მასწავლებელი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში(თუ სკოლის მასწავლებლები უარს იტყვიან დამრიგებლის ფუნქციის შესრულებაზე) შესაძლებელია დამრიგებელი იყოს ხელშეკრულებით დასაქმებული გარეშე პირი;

3.დამრიგებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლევი პირი;

4.ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს :

ა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომში – 112);

ბ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნომერი – 2 200 220;

გ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირის მობილური ტელეფონის ნომერი ლამზირა დაშნიანი 595 633 925 ;

დ. საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი – 598 08 30 06 (1481).

5. სასწავლო წლის განმავლობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან და სკოლის დირექციის წარმომადგენლებთნ ერთდ მოსწავლეებს გააცნოს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, უფლებები და წესები;

6. სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას სკოლის დირექციასთან ერთად:

ა. ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;

ბ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ;

გ. ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;

დ. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

7. სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის მშბლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა. მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;

ბ. შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;

გ. ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

დ. ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ე. ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ვ. ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ზ. სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

8. საგანგებო სიტუაციების დროს უზრუნველყოს იმ მოსწავლეთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ სკოლის შენობიდან და მოახდინოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება, მაქსიმალურად მშვიდი ტონით. მიაწოდოს მას მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.

9. მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაციის მიღებისას ესაუბროს მოსწავლეს, არ დატოვოს ის მეთვალყურეობის გარეშე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის სკოლაში გამოცხადებამდე.

10. იმ შემთხვევაში თუ მიიღებს ინფორმაციას (ან შეესწრება) მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირს/სკოლის დირექციას, ესაუბროს მოსწავლეს და გამოიკვლიოს თვითდაზიანების მიზეზი. უზრუნველყოს მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება.

11. იმ შემთხვევაში თუ შეესწრება მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობას ვალდებულია შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112“-ს, ხოლო შემდგომ აღნიშნულის შესახებ აცნობოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირს/სკოლის დირექციას. არ დატოვოს სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლე უმეთვალყურეოდ კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის მოსვლამდე, მომხდარის შესახებ უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის.

12. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელისგან კლასის დამრიგებელს მიღებული აქვს შეტყობინება კლასის დამრიგებელი აფრთხილებს საგნის მასწავლებლებს.

13. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელისგან კლასის დამრიგებელს არ აქვს მიღებული შეტყობინება და შესაბამისად არ არის გაფრთხილებული საგნის მასწავლებელი, შესაბამისი საგნის მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ, მორიგე მასწავლებლის და/ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირის დახმარებით აცნობებს კლასის დამრიგებელს, რომელიც მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ატყობინებს აღნიშნული ფაქტის შესახებ და ადგენს გამოუცხადებლობის მიზეზს.

14.იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის დამრიგებელი/საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირი ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობოს სკოლის დირექციას შემდგომი რეაგირების მიზნით.

15. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ნებართვის გარეშე კლასის ან/და სკოლის დატოვების შესახებ ინფორმაციის მიღებისას დამრიგებელი დაუყოვნებლივ ატყობინებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

16. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს და შეიმუშავონ პრობლემის მოგვარების გზები. უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება. დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი. მიაწოდოს ინფორმაცია ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.

17. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის განხორციელების გამოვლენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები. უზრუნველყოს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და მხარეებს შორის შემდგომი

კონფრონტაციის არიდება. დააკვირდეს როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელ მოსწავლეს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია. მიაწოდოს ინფორმაცია დისკრიმინაციის განმახორციელებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.

18. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირს/სკოლის დირექციის წარმომადგენელს. დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები. სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება. დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც. თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ სკოლაში არ დადის, დამრიგებელი ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის. დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მონაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს;

19. დამრიგებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ,,პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმისა'' და ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების N37 დანართით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესახებ''.

მუხლი 4. დამრიგებლის მუშაობის პრინციპები

1. დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

   ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

   ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

   გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

   დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

მუხლი 5. სადამრიგებლო სასაუბრო თემები

1. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

ა. პიროვნული და სოციალური განვითარება - მე - პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თანამშრომლობის მნიშვნელობა, ცნება „თანაკლასელი“, წამოჭრილი პრობლემები და მათი მოგვარების გზები, კონფლიქტის მოგვარების უნარების განვითარება, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება, სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის პატივისცემა;

ბ. გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი - გავაგებინოთ მოსწავლეებს ბუნების კომპლექსურობა და ხელოვნური გარემო, მათი ბიოლოგიური, ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ინტერაქციის შედეგად და შეიძინონ ცოდნა, ღირებულებები, დამოკიდებულებები და პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა პასუხისმგებლობით და ეფექტურად შეიტანონ წვლილი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში;

გ. მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება - ჩემი ეზო, ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი, ჩემი სამშობლო, ისტორია, ტრადიციები, წესები და კანონები;

დ. თვალსაწიერის გაფართოება -ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა;

ე. მეწარმეობის უნარების განვითარება- მოსწავლეებმა მიიღონ ცოდნა და თავიდანვე გამოუმუშავდეთ შესაბამისი უნარები, რათა მომავალში თავად გახდნენ მეწარმეები და დაასაქმონ ადამიანები;

ვ. უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია - შევქმნათ სკოლაში უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. ხელი შევუწყოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ავიცილოთ თავიდან დისკრიმინაცია;

ზ. კითხვის უნარის განვითარება(დაწყებით საფეხურზე) - დავეხმაროთ მოსწავლეებს ასოებისგან შეადგინოს მარცვალი, აღიქვას წაკითხული სიტყვის შინაარსი, სიტყვა დააკავშიროს შესაბამის ნახატთან, იკითხონ სწორი ინტონაციით, გააკეთონ საჭირო პაუზები, გაიგონ წინადადების შინაარსი, უპასუხონ კითხვებს წაკითხული ტექსტიდან და სხვა.

2. სადამრიგებლო საუბრები შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც, მაგ.: ექსკურსიაზე ან მუზეუმის დათვალიერებისას.

მუხლი 6. აქტივობები

1. სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსიები;
2. მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები;
3. შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები;
4. შიდასასკოლო კონკურსების, შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა;
5. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
6. სასკოლო კლუბებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, სკოლებს შორის გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 7. სადამრიგებლო კლასის მოწყობის პროცედურა

1. დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას მინიმუმ ერთი კვირით ადრე მოაწყოს თავისი სადამრიგებლო კლასი.

2. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ "შპს „აკადემოსის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები";
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სასწავლო პროგრამები;
- ✓ დებულება;
- ✓ ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- ✓ გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა;
- ✓ ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუცების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები;
- ✓ ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;
- ✓ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;
- ✓ მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები;
- ✓ სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია;
- ✓ მშობელთან ურთიერთობის დებულება.

2. დამრიგებელი ასევე ვალდებულია, თითოეულ მასწავლებელს მოსთხოვოს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები და უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება, სადაც შესაბამისი საგნის მასწავლებლი აუხსნის მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 9. ცვლილების შეტანა

1. სკოლის სადამრიგებლო მუშაობის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს დირექტორი ბრძნებით.
2. სკოლის სადამრიგებლო მუშაობის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დანართი 1

გზამკვლევი დაწყებითი კლასების დამრიგებლებისთვის როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში

ზოგადი ინფორმაცია მასწავლებლებისათვის:

კონფლიქტების მოგვარება სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შორის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავლად არის კონფლიქტური სიტუაციების მაგალითები. კონფლიქტების უმეტესობის საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეების ზოგადი დამოკიდებულებები ან მათში უნარის ნაკლებობა, გაუძლონ ზეწოლას. კონფლიქტური სიტუაციების მაგალითებია:

- სხვისი კუთვნილი ნივთების აღება;
- შემთხვევით ვინმეს შეხება ან ხელისკვრა;
- ერთმანეთის გაღიზიანება;
- თანაკლასელების შეწუხება;
- ერთმანეთის დაშინება;
- მძიმე ფორმები, როგორიცაა დაჯგუფებები მავნე განზრახვით ან ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ძალადობა.

მოზარდების მიერ გამოყენებული კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები განსხვავდება ზრდასრული ადამიანების მიერ კონფლიქტურ სიტუაციებში გამოყენებული სტრატეგიებისაგან. ერთმანეთისაგან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი მოსწავლეებიც. უფრო მცირე ასაკის ჯგუფის წარმომადგენლების მიერ გამოყენებული კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია ფიზიკურ რეაგირებაში (დარტყმა და ა.შ.), აგრესიულ რეაქციებში, ჩხუბში გამოიხატება; აგრეთვე, ხშირია დახმარებისათვის უფროსებისადმი მიმართვა, კონფლიქტის ადგილის დატოვება, დათმობა და უკან დახევა, მიჩნევა, რომ არაფერი მომხდარა ან სიმბოლური ჟესტები (როგორებიცაა ხელის ჩამორთმევა, საჩუქარი და ა.შ.).

უფრო მოზრდილი (10 წლის ან მეტი) ასაკის დაწყებითი სკოლის მოსწავლეები კონფლიქტის მოსაგვარებლად განსხვავებულ სტრატეგიებს მიმართავენ, როგორებიცაა კონფლიქტის უგულებელყოფა, ერთმანეთთან დალაპარაკება, საერთო გადაწყვეტილების მიღება კონფლიქტში მონაწილე მხარეების პერსპექტივის გათვალისწინებით, იმის გარკვევა, თუ ვინ არის მართალი და, შესაბამისად, ვინ გამოვიდა „გამარჯვებული“, ისევე, როგორც მოლაპარაკებების წარმოება მანამდე, სანამ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე არ იქნება დაკმაყოფილებული მიღებული გადაწყვეტილებით.

ექსპერტები განასხვავებენ კონფლიქტის მოგვარების სამ ძირითად სახეს, ესენია:

- კონფლიქტის მოგვარება ფიზიკური საშუალებებით;
- კონფლიქტის მოგვარება ცალმხრივად (რეფლექტური აზროვნება ან ორი პერსპექტივის დანახვის უნარი).

წინამდებარე თავში შესული გაკვეთილები კონფლიქტის მოგვარების ამ სტრატეგიებს ითვალისწინებს და ეფუძნება ასაკობრივი ფსიქოლოგიის ამ ასპექტებს. სწორედ ეს შეადგენს ძირითად ელემენტებს, რომელთა საშუალებითაც ვცდილობთ, დავეხმაროთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ როგორც ინდივიდუალური, ასევე, საერთო პრობლემები და კონფლიქტები და დავეხმაროთ, ისწავლონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარჩევა პირადი კეთილდღეობისაგან. პრობლემის გადაჭრა ადამიანთა ფართო ჯგუფზე იქონიებს გავლენას იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ან კონფლიქტი საერთო ხასიათის კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო პიროვნული პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ამ პიროვნებაზე უნდა ახდენდეს გავლენას და სხვა პირებისათვის არანაირი ცვლილების მომტანი არ უნდა იყოს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, ზემოთ აღწერილის მსგავსი კონფლიქტები ხშირად, შეიძლება უკავშირდებოდეს ინფრასტრუქტურას (მაგალითად, სივრცის ნაკლებობა), სქესს (ურთიერთობა ვაჟებსა და გოგონებს შორის), ერთობლივ სამუშაოს (მუშაობის განსხვავებული ტემპები, განსხვავებული ცოდნის დონე და ა.შ.), ან შეიძლება სოციალური ქცევის შედეგი იყოს (ლაპარაკის შეწყვეტინება და ა.შ.). წინამდებარე თავში მოცემული ოთხივე გაკვეთილის მსვლელობისას, რომელიც კონფლიქტის თემას ეძღვნება, მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ საკლასო გარემოში არსებული პრობლემების მოგვარება არც ისე მარტივია ერთი გაკვეთილის მსვლელობისას. მიუხედავად საკლასო წესების ან კომუნიკაციის მარეგულირებელი წესების შემოღებისა, პრობლემები და

კონფლიქტები დროგამოშვებით თავს მაინც იჩენს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტებისა და მათი მოგვარების თემის განხილვა, ისევე როგორც იმ პრობლემათა გაცნობიერება, რომლებიც შესაძლებელია წამოიჭრას სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუდმივად უნდა იდგეს დღის წესრიგში. მოსწავლეები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ წესების გათავისებას, თუ ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ იმ დისკუსიებში, რომლებიც ამ წესების შემოღებას ეძღვნება.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

კომპეტენცია		
პოლიტიკური ანალიზი და განსჯა	მეთოდის გამოყენება	პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება
***	***	***

მასწავლებლის ოქროს წესი:
აუცილებლად შეიმუშავეთ წესები მოსწავლეებთან შეთანხმებით.
წესები კონფლიქტების მოგვარებაში გვეხმარება.

დამხმარე ინსტრუმენტები

ქვევით მოცემულია ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით .

- ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში;
- ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში;
- ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა;
- გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება;
- გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა;
- პოსტერების შექმნა;
- გამოფენების მოწყობა;

- ❖ პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა;
- ❖ პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით;
- ❖ საგაზეთო სტატიების დაწერა;
- ❖ წარმოდგენების გამართვა;
- ❖ დებატების წარმოება.

კონფლიქტების მოგვარება სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შორის

გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის გეგმას, რომლიც დაეხმარება დაწყებითი კლასების მასწავლებლებს კონფლიქტების მოგვარებაში საკლასო ოთახის დონეზე:

გაკვეთილების საორიენტაციო თემები:

- ✓ ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა? რა პრობლემებსა და კონფლიქტებს ვაწყდებით ჩვენს კლასში?
- ✓ აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას პრობლემის გადაჭრის რა საშუალებებს ვფლობთ?
- ✓ იდეათა ნუსხა რომელ გადაწყვეტილებას ემხრობა უმრავლესობა?
- ✓ ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ როგორ ვქმნით საერთო კანონებს?

გაკვეთილის თემა	სწავლის მიზნები	მოსწავლის ამოცანა	რესურსები	მეთოდები
გაკვეთილი 1: ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?	მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პირადი კეთილდღეობის ცნებებს, კლასში არსებული პრობლემების	მოსწავლეებს, წარმოსახვის უნარის გამოყენებით, მოჰყავთ პრობლემების მაგალითები და ახარისხებენ მათ იმის	ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები, კალმები, ინფორმაცია პრობლემათა ორი კატეგორიის კლასიფიკაციის	დამოუკიდებელ სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა

	იდენტიფიცირებისა და მათ შორის განსხვავებების დადგენის საშუალებით.	მიხედვით, საერთო პრობლემას წარმოადგენს იგი თუ პირად პრობლემას.	შესახებ.	
გაკვეთილი 2: აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას	მოსწავლეები მსჯელობენ კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ და ეცნობიან სხვადასხვა პიროვნების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ქცევებს.	მოსწავლეები საკუთარ აზრს გამოთქვამენ პრობლემასთან დაკავშირებით და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ.	ფლიპჩარტი, კალმები.	ჯგუფური სამუშაო.
გაკვეთილი 3: იდეათა ნუსხა	მოსწავლეები სწავლობენ არგუმენტის ჩამოყალიბებას დებატების დროს. ისინი, საკითხის	მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების გზებისა და	ფლიპჩარტი, კალმები.	საერთო საკლასო განხილვა.

	განხილვისას, გამოდიან როგორც მომხრედ, ასევე წინააღმდეგ და ეცნობიან უმრავლესობის ფუნქციას.	საშუალებების შესახებ და თანხმდებიან საერთო წესებზე, რომლებიც კლასის წევრების მიერ უნდა იქნას დაცული.		
გაკვეთილი 4: ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ	მოსწავლეები აღწევენ შეთანხმებას და სწავლობენ, როგორ მოერგონ ერთობლივად ფორმულირებულ შეთანხმებას.	მოსწავლეები ადგენენ საერთო წესებს და საკუთარი ხელმოწერები დააქვთ შედგენილ დოკუმენტზე. ისინი განიხილავენ კონტროლის მექანიზმსა და სავარაუდო შედეგებს.	ფლიპჩარტი, კალმები.	საერთო საკლასო განხილვა.

გაკვეთილი 1

ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?

რა პრობლემებსა და კონფლიქტებს ვაწყდებით ჩვენს კლასში?

სწავლის მიზნები	მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პირადი კეთილდღეობის ცნებებს, კლასში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათ შორის განსხვავებების დადგენის საშუალებით.
მოსწავლის ამოცანა	მოსწავლეებს, წარმოსახვის უნარის გამოყენებით, მოჰყავთ პრობლემების მაგალითები და ახარისხებენ მათ იმის მიხედვით, საერთო პრობლემას წარმოადგენს იგი თუ პირად პრობლემას.
რესურსები	ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები, კალმები, ინფორმაცია პრობლემათა ორი კატეგორიის კლასიფიკაციის შესახებ.
მეთოდები	დამოუკიდებელი სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა.

გაკვეთილის აღწერა

მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის სათაურს „ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?“. ამის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ, კარგად დაფიქრდნენ და გააანალიზონ, რა არ არის წესრიგში მათ კლასში. მოსწავლეებისათვის ამ დავალების მიცემისას, მასწავლებელმა მათ უნდა მიუთითოს იმ სხვადასხვა სფეროზე, სადაც შესაძლებელია თავი იჩინოს პრობლემამ ან კონფლიქტმა, ეს სფეროებია:

- სხვა მოსწავლეებთან ერთად მუშაობა;
- ვაჟებსა და გოგონებს შორის ურთიერთობა;
- საზიარო ნივთებით სარგებლობა, როგორიცაა ერთ მერხთან ან ერთ საკლასო ოთახში მუშაობა;
- ვინმესთან მეგობრობა.

მოსწავლეები, ქაღალდის მცირე ზომის ფურცლებზე, ჩანაწერებს აკეთებენ ყველა იმ პრობლემისა თუ კონფლიქტის შესახებ, რომლებმაც, მათი აზრით, შესაძლოა თავი იჩინოს საკლასო გარემოში; შემდეგ დგებიან ადგილებიდან, სათითაოდ, და ფურცელზე ჩამოწერილ პრობლემებს დაფაზე ამაგრებენ.

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლის ფურცელი დაფაზე იქნება მიმაგრებული, მოსწავლეები სხდებიან ნახევარწრეზე, დაფის პირისპირ.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ არსებობს ორი განსხვავებული ტიპის პრობლემები - პიროვნული პრობლემები და საერთო პრობლემები. ამასთან, მასწავლებელმა თითოეული ტიპის პრობლემის მაგალითიც უნდა მოიყვანოს: მაგალითად, საკლასო ოთახში გადაჭარბებული ხმაური საერთო პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ მერხზე არასაკმარისი ფართობი - ინდივიდუალურ პრობლემას. მასწავლებელი დაფაზე მოსწავლეების მიერ გაკრულ პრობლემების ჩამონათვალს სათითაოდ კითხულობს და სთხოვს მოსწავლეებს, დაახარისხონ ისინი იმის მიხედვით, განეკუთვნება ისინი პიროვნულ პრობლემებს თუ საერთო პრობლემებს. ამისათვის მასწავლებელს მომზადებული უნდა ჰქონდეს ორი ფურცელი, რომელზედაც შესაბამისად დატანილი იქნება წარწერები: „ინდივიდუალური პრობლემა ან კონფლიქტი“ და „საერთო პრობლემა ან კონფლიქტი“. მასწავლებელი ამ ორ ფურცელს გამოფენს დაფის ზედა ნაწილში და მათზე ხდება შესაბამისად დახარისხებული პრობლემებისა და კონფლიქტების ჩამოწერა.

ამის შემდეგ მასწავლებელი იწყებს დისკუსიას იმის შესახებ, თუ რომელი მათგანის მოგვარება შეიძლება უფრო მარტივად და რომლის - არა. რის შესახებაც დისკუსია მოსწავლეებმა უნდა წარმართონ.

გაკვეთილი 2

აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას.

პრობლემის გადაჭრის რა საშუალებებს ვფლობთ?

სწავლის მიზნები	მოსწავლეები მსჯელობენ კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებზე, რომლებიც გააჩნიათ და ეცნობიან სხვადასხვა პიროვნების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ქცევებს.

მოსწავლის ამოცანა	მოსწავლეები საკუთარ აზრს გამოთქვამენ პრობლემასთან დაკავშირებით, ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ.
რესურსები	ფლიპჩარტი, კალმები.
მეთოდები	ჯგუფური სამუშაო.

გაკვეთილის აღწერა

მასწავლებელს გაკვეთილზე შემოაქვს პრობლემებისა და კონფლიქტების ჩამონათვალი, რომელიც მოსწავლეების მიერ იქნა შედგენილი, წინა გაკვეთილის მსვლელობისას. მოსწავლეები ნაწილდებიან ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. ისინი ირჩევენ ორ პრობლემას ან კონფლიქტს, რომელზეც საკუთარ ჯგუფთან ერთად უნდა იმუშაონ. თითოეული ჯგუფი მუშაობს ორ სხვადასხვა პრობლემასა თუ კონფლიქტზე.

მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ პრობლემის ან კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ისე, რომ გადაწყვეტილებამ ზემოქმედება იქონიოს ან კონკრეტული ადამიანების ჯგუფზე ან ერთ პიროვნებაზე (იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება მოცემული პრობლემა თუ კონფლიქტი, ინდივიდუალურსა თუ საერთოს).

მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ თავიანთი მოსაზრებების შესახებ და თითო ჯგუფმა უნდა დაამზადოს თითო პოსტერი, რომელზეც ილუსტრირებული იქნება ორი პრობლემა ან კონფლიქტი და მათი მოგვარების შესაძლო გზები. მათ ხაზი უნდა გაუსვან და გამოყონ ის გადაწყვეტილებები, რომლებზეც შეჯერდნენ და შეთანხმდნენ ჯგუფის წევრები.

გაკვეთილი 3

იდეათა ნუსხა.

რომელ გადაწყვეტილებას ემხრობა უმრავლესობა?

სწავლის მიზნები	მოსწავლეები სწავლობენ არგუმენტის ჩამოყალიბებას დებატების დროს. ისინი,

	საკითხის განხილვისას, გამოდიან როგორც მომხრედ, ასევე, წინააღმდეგ და ეცნობიან უმრავლესობის ფუნქციას.
მოსწავლის ამოცანა	მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების გზებისა და საშუალებების შესახებ და თანხმდებიან საერთო წესებზე, რომლებიც კლასის წევრების მიერ უნდა იქნას დაცული.
რესურსები	ფლიპჩარტი, კალმები.
მეთოდები	საერთო საკლასო განხილვა.

გაკვეთილის აღწერა

მოსწავლეებს გაკვეთილზე შემოაქვთ პოსტერები, რომლებიც მათ წინა გაკვეთილის მსვლელობისას დაამზადეს და რომელიც მათ ამჯერად კლასს უნდა წარუდგინონ. ასევე, უნდა გააცნონ კლასს, ჩამოთვლილთაგან რომელი გადაწყვეტილებები იქნა ჯგუფის მიერ შეფასებული როგორც საუკეთესო და დაასახელონ ამის მიზეზები.

ყოველი პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები მათ მიერვე დამზადებულ პოსტერებს კედელზე გამოფენენ.

25 მოსწავლისაგან შემდგარ კლასში დაახლოებით ექვსმა ჯგუფმა უნდა წარადგინოს ორ-ორი პრობლემისა თუ კონფლიქტის მოგვარების გზები, ამგვარად, ჯამში 12 პრობლემა იქნება მოგვარებული. მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა ყველა ჯგუფი წარადგენს პოსტერს და ჯგუფის წევრები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, საჭიროა, მოსწავლეებმა კენჭი უყარონ სხვადასხვა გადაწყვეტილებას. თითოეულ გადაწყვეტილებას უნდა მიენიჭოს ქულები - ერთიდან ხუთამდე (თუ მივიჩნევთ, რომ თითოეული პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარების მაქსიმუმ ხუთ-ხუთი საშუალება იქნა გამოძებნილი მოსწავლეთა ჯგუფების მიერ). კენჭისყრა შემდეგი პრინციპით წარმოებს: მოსწავლეებს ურიგდებათ ერთიდან ხუთამდე დანომრილი ბარათები. თითოეული პრობლემის ან კონფლიქტის დასახელებისას მათ უნდა აწიონ ბარათი, პრობლემის მოგვარების ხერხისათვის მინიჭებული შესაბამისი ქულით. მასწავლებელი ითვლის ქულებს და ჩაინიშნავს იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც

ყველაზე მაღალი ქულა დააგროვა.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეაფასებენ პრობლემების ან კონფლიქტების ყველა გადაწყვეტილებას, მათ ერთობლივად უნდა იმსჯელონ შედეგებზე და იმ ფაქტზე, რომ პრობლემისა თუ კონფლიქტის მოგვარების გზის შესახებ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობის პრინციპით შეირჩა.

გაკვეთილი 4

ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ.

როგორ ვქმნით საერთო კანონებს?

სწავლის მიზნები	მოსწავლეები აღწევენ შეთანხმებას და სწავლობენ, როგორ მოერგონ ერთობლივად ფორმულირებულ შეთანხმებას.
მოსწავლის ამოცანა	მოსწავლეები ადგენენ საერთო წესებს და საკუთარი ხელმოწერები დააქვთ შედგენილ დოკუმენტზე. ისინი განიხილავენ კონტროლის მექანიზმსა და სავარაუდო შედეგებს.
რესურსები	ფლიპჩარტი, კალმები.
მეთოდები	საერთო საკლასო განხილვა.

გაკვეთილის აღწერა

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას პრობლემებისა თუ კონფლიქტების გადაჭრის გზების შერჩევის გამო გამართულ კენჭისყრაში, მათ ევალებათ ამ გადაწყვეტილებების დაწერა, წესების შესახებ „კონტრაქტის“ ფორმატში, რომელზეც ყველა მოსწავლემ უნდა დააფიქსიროს საკუთარი ხელმოწერა.

მოსწავლეები მართავენ საერთო საკლასო დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც ისინი მსჯელობენ კონტრაქტის ფორმაზე. სურთ მათ იგი წარმოდგენილი იყოს პოსტერის სახით, A4 ფორმატის ფურცელზე დაწერილი თუ დახვეული და ბეჭდით დალუქული? მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ დოკუმენტის ფორმაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კენჭისყრის გამართვაც.

მოსწავლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ დოკუმენტის მათთვის სასურველ ფორმაზე, იმ

პირობით, თუ დაცული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც შეთანხმების შედეგად იქნა მიღებული, ექნება ჩამოყალიბებული განაცხადის ანუ მუხლის ფორმა.

- კონტრაქტი ხელმოწერილ იქნება უკლებლივ ყველა მოსწავლის მიერ, შედგენილი დოკუმენტის ქვევით.

- კონტრაქტზე დატანილი იქნება ხელმოწერის ადგილი და თარიღი.

მას შემდეგ, რაც კონტრაქტი შედგება და მოსწავლეების ხელმოწერით იქნება დადასტურებული, მოსწავლეებმა უნდა განიხილონ, რა შედეგი უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ამ კონტრაქტის რომელიმე მუხლს დაარღვევს. უნდა მოჰყვეს თუ არა ამას რეაგირება? თუ უნდა მოჰყვეს, რა სახის? როგორ უნდა გაკონტროლდეს შემუშავებული წესების დაცვა? ეს შედის თუ არა ყველას მოვალეობაში? თუ საჭიროა გარკვეული პირების არჩევა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან შემუშავებული წესების დაცვაზე? სასარგებლო იქნება ეს თუ უკუშედეგის მომტანი?

მოსწავლეების მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, შემუშავებული წესების დარღვევისას განსახორციელებელი ღონისძიებები შესაძლებელია შეტანილ იქნას კონტრაქტში (დანართის სახით).

გამოყენებული ლიტერატურა:

- სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში (წიგნი I) როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ოლაფ ოლაფსდოტირი, ვილტრუდ ვეიდინგერი, 2013 წელი
- სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში (წიგნი II) , როლფ გოლობი და ვილტრუდ ვეიდინგერი, 2013 წელი.

დანართი 2

გზამკვლევი საბაზო -საშუალო კლასების დამრიგებლებისთვის კონფლიქტის მოგვარება და პრევენცია საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებში

ზოგადი მიმოხილვა

კონფლიქტის კონსტრუქციული გადაჭრა არსებითი საკითხია კლასში, რადგან კონფლიქტი სწავლებისას გარდაუვალი და საჭიროც კია.

თანაკლასელთაკონფლიქტი. სკოლაში გავრცელებული კონფლიქტის ერთი ფორმა გაღიზიანება და გამოჯავრებაა. მასწავლებლები ცდილობენ, აღმოფხვრან ეს მოვლენა. საზღვარი კარგ ურთიერთობასა და ასეთ მტრულ დამოკიდებულებას შორის ძალიან მერყევია, მაგრამ ვიღაცისკენ თითის მიშვერა ნიშნავს იმას, რომ არავინ გამოიჩენს ტოლერანტობას იმის მიმართ, ვისაც ნაკლები ძალა აქვს, ნაკლებად პოპულარულია ან რაიმე ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით აბუჩადააგდებული.

რა უნდა გააკეთონ მასწავლებლებმა?

თითქმის ყველა კლასში ხდება კონფლიქტები. მათი მოგვარების სწავლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევაა. კვლევებით დადგენილია, რომ აგრესიულ ბავშვებში, რომელთაც მასწავლებლები კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებს ასწავლიდნენ, აგრესიამ და ძალადობამ იკლო. მაგრამ, როდესაც მასწავლებლები დუმილით ხვდებიან აგრესიას, მოსწავლეებმა ეს შესაძლოა შეურაცხყოფად აღიქვან.

კონფლიქტის მოგვარება ძალიან რთულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით თუ საზოგადოების მოსაზრებას განვიხილავთ, გავოცდებით, რა მწირი ინფორმაცია აქვს ხალხს მოსწავლეებს შორის არსებული კონფლიქტების შესახებ. დაწყებით სკოლებში კონფლიქტი ხშირად ხდება რესურსების გამო (სასკოლო ინვენტარი, კომპიუტერი, სპორტული აღჭურვილობა, სათამაშოები), უპირატესობების მინიჭების გამო (რომელი აქტივობა უნდა განხორციელდეს თავდაპირველად და ჯერ რომელი თამაში უნდა ითამაშონ).

ჩატარდა კვლევა და აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს შორის კონფლიქტების 90% ან დესტრუქციულად გვარდება, ან საერთოდ არ გვარდება. მას შემდეგ ჩატარებულმა შედარებით მცირე კვლევებმაც იგივე შედეგები აჩვენა. როგორც ჩანს, კონფლიქტების არსებობის პირობებში მთავარი სტრატეგიაა უგულებელყოფა, ძალა და მუქარა. თუმცა არსებობს უკეთესი გზებიც – თანატოლთა მედიაცია და მოლაპარაკების სტრატეგიები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე ისწავლება.

თანატოლთა მედიაცია და მოლაპარაკება.

დევიდ ჯონსონის მიერ შემუშავებულ მოლაპარაკების 5-საფეხურიანი სტრატეგია.

1. ერთობლივად განსაზღვრეთ კონფლიქტი. განაცალკევეთ პიროვნება პრობლემისა და აქტივობისგან, თავი აარიდეთ გამარჯვება-წაგებაზე ფიქრს და ნათლად წარმოაჩინეთ თითოეული მხარის მიზნები;

2. გაცვალეთ პოზიცია და ინტერესები. წარმოადგინეთ საცდელი მიზანი. მოუსმინეთ მეორე მხარის მიზნებს და გაიგეთ მისი ემოციების შესახებ. იყავით თანამშრომლური და მოქნილი. შეატრიალეთ პერსპექტივა. შეაფასეთ სიტუაცია სხვა ადამიანის თვალით, შეცვალეთ როლები და იმსჯელეთ ამ კუთხიდან;

4. გამოყავით სულ მცირე სამი შეთანხმება, რომელიც ორმხრივ სარგებელს მოიტანს. დასახეთ მიზნები, იაზროვნეთ შემოქმედებითად და დარწმუნდით, რომ ყველას აქვს ძალა, მოიფიქროს პრობლემის გადაჭრის გზა;

5. მიაღწიეთ ინტეგრაციულ შეთანხმებას. დარწმუნდით, რომ გათვალისწინებულია ორივე მხარის მიზნები. თუ არაფერი გამოვა, სცადეთ ცვლილებები ან ჩართეთ საქმეში მესამე მხარე – მედიატორი.

ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის გარკვეული მიმართულებების, ჩარჩოს შეთავაზება, რითაც ისინი თავად შეძლებენ გაუმკლავდნენ კონფლიქტების მოგვარებას.

 გთავაზობთ კონფლიქტის მოგვარების ოთხ საფეხურიან გზას. მას შემდეგ რაც მასწავლებელი განუმარტავს საფეხურებზე, მოსწავლეებთან ერთად განიხილავს თითოეულ მათგანს, ეს 4 დებულება უნდა გამოიკრას საკლასო ოთახში:

1. უთხარით სხვებს, რა არ მოგეწონათ;

2. უთხარით მათ, რა გრძნობა გამოიწვია მათმა ნათქვამმა (ან ნამოქმედარმა) თქვენში;

3. უთხარით მათ, რა გინდათ იყოს მომავალში;

4. ისინი გიპასუხებენ, რის გაკეთება შეუძლიათ.

გილოცავთ! თქვენ კონფლიქტების საუკეთესო მომგვარებლები ხართ!

კლასის საათი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი კონფლიქტების მოგვარებისა და პრევენციის მიმართულებით

ქვემოთ მოცემულია საორიენტაციო თემატიკა კლასის საათის ჩასატარებლად:

	თემა	**მიზანი**	**ამოცანები**
1	დამეგობრება	განვიხილოთ მეგობრობა და ამოვიცნოთ მეგობრული თვისებები, ახალი მეგობრების შეძენის და ურთიერთობების გაუმჯობესების გზები	• განვსაზღვროთ სანიმუშო მეგობრის თვისებები; • ამოვიცნოთ მახასიათებლები, რასაც მეგობრობამდე მივყავართ; • შევიცნოთ, როგორ გავლენას ახდენს მეგობართა ჯგუფში ყოფნა ახალი მეგობრის შეძენაზე; • აღვწეროთ და ვივარჯიშოთ, როგორ შევიძინოთ ახალი მეგობრები; • შევიცნოთ ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე; • ამოვიცნოთ ურთიერთობის გაუმჯობესებისა და შეცვლის გზები.
2	როგორ გავართვათ თავი დამამცირებელ მოპყრობას	შევისწავლოთ ეფექტური გზები, როგორ ვუპასუხოთ დამამცირებელ საქციელს.	• განვსაზღვროთ, როგორია დამამცირებელი მოპყრობა და ამოვიცნოთ ასეთი ქცევები; • განვიხილოთ დამამცირებელი ქცევის შესაძლო მოტივაცია; • ჩამოვაყალიბოთ დამამცირებელი ქცევის გამოპასუხების სხვადასხვა გზა

3	დაძაბულობა: შინაგანი და გარეგანი.	შევიცნოთ „შინაგანი დაძაბულობა“ და ვივარჯიშოთ, როგორ გამოვიყენოთ კონსტრუქციული შინაგანი მესიჯები.	• განვსაზღვროთ შინაგანი მესიჯები და მოვიყვანოთ მაგალითები; • ამოვიცნოთ სიტუაციები, რომლებსაც შინაგანი დაძაბულობა ახლავს; • შევისწავლოთ და ვივარჯიშოთ, როგორ დავძლიოთ ყოვლისმომცველი შინაგანი დაძაბულობა.
4	სამი ნაბიჯი, რითაც გავაძლიერებთ საკუთარ თავს. ASK-ის სამი საფეხური (A – კითხვის დასმა S-თავდაცვა K-იცოდე შენი დადებითი თვისებები.	შევისწავლოთ სამი ნაბიჯი, როგორ აღვუდგეთ წინ უარყოფით დაძაბულობას.	• აღვწეროთ სამი ნაბიჯი, რომელთა საშუალებით ამოვიცნობთ და წინ აღვუდგებით უარყოფით თანა დაძაბულობას; • განვმარტოთ როგორ და როდის შეიძლება იყოს ეს ნაბიჯები ეფექტური; • ვივარჯიშოთ, როგორ გამოვიყენოთ ეს ნაბიჯები.
	როგორ გავართვათ თავი კონფლიქტებს მეგობრობაში.	შევისწავლოთ და გამოვცადოთ კონსტრუქციული გზა, თუ როგორ გავართვათ თავი კონფლიქტს მეგობრობაში.	• განვმარტოთ, რატომ არის კონფლიქტი გარდაუვალი მეგობრობაში; • აღვწეროთ კონფლიქტების მოგვარებისადმი მიდგომის ნაბიჯები.

მოცემული თემატიკის, მიზნების და ამოცანების შესაბამისად შესაძლებელია გაიწეროს კონკრეტულ კლასზე მორგებული აქტივობები, ან შეირჩეს ქვემოდ მოცემული პრაქტიკული სამუშაოებიდან.

პრაქტიკული სამუშაოები:

- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად და „აგებენ მეგობარს“, რომელსაც ყველა სანიმუშო თვისება აქვს.
- მოსწავლეები ქმნიან რეკლამას, რომელიც მეგობრობის თვისებებს აღწერს.

- მოსწავლეები ქმნიან რეკლამას „იძებნება მეგობარი“, რომელშიც გადმოცემული იქნება ის პიროვნული თვისებები, ინტერესები, გატაცებები და აქტივობები, რასაც ისინი ეძებენ მეგობართან პატივისცემით სავსე ურთიერთობისთვის.
- მოსწავლეები გაითამაშებენ სცენას, თითქოს არიან რაღაც „ჯგუფის წევრები“ და ხვდებიან ახალ ნაცნობებს.
- მოსწავლეები იკვლევენ სტრატეგიებს, როგორ გაართვან თავი დამამცირებელ სიტუაციებს და ქმნიან დამამცირებელი მოპყრობისადმი თავის გართმევის გზების პოსტერებს.
- მოსწავლეები ჯგუფურად ასრულებენ სავარჯიშოს: „შინაგანი დაძაბულობის სიტუაციები“. ასახელებენ სიტუაციებს, რომლებსაც ხშირად მივყავართ დესტრუქციულ შინაგან დაძაბულობამდე.
- მოსწავლეები გაითამაშებენ სკეტჩს, რომელიც ასახავს ASK-ის საფეხურებს.
- სტატიის, მოთხრობის კითხვა, ფილმის ყურება და ძირითადი აზრის განსაზღვრა, დებატი...
- კონფლიქტური სიტუაციების განხილვა ჯგუფებში (პრობლემის გამოკვეთა, შესაძლო გადაწყვეტილებები, მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა, შეფასება, განხორციელება)
- მოსწავლეები ქმნიან კითხვარს, რომლითაც შეისწავლიან სკოლაში დამამცირებელი მოპყრობის საკითხს (კითხვარის საორიენტაციო კითხვები და სტრუქტურა იხილეთ დანართში);
- დავგეგმოთ სკოლაში „მეგობრობის ზეიმი“
- უფროსკლასელებს ვეხმარებით შექმნან და დადგან თოჯინების შოუ კონფლიქტების გადაჭრის შესახებ უმცროსი კლასელებისათვის.
- ინტერვიუ მეგობრობის შესახებ უფროსი მოქალაქეებისგან;
- კომიქსის შექმნა, რომელიც ასახავს კონფლიქტს ორ ადამიანს შორის, შესაძლო გადაწყვეტილებების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას.

რესურსები:

გზამკვლევს თან ახლავს რესურსები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. ასევე ციფრული და მედია რესურსების ბმულები და ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი შესაძლებელია გამოიყენოთ როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან და კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან სამუშაო. რესურსი დანართი N2-ის სახით თან ახლავს გზამკვლევს.

გისურვებთ წარმატებას!

დანართი 3

კითხვარი მოსწავლეებისთვის

მაგ:

მე ვარ ბიჭი ----

მე ვარ გოგო ------

კლასი --------

1. რამდენად ხშირად დაუმცირებიხართ სკოლაში? (შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

   არასოდეს ზოგჯერ ბევრჯერ

2. რამდენად ხშირად დაგინახავთ სხვისი ჩაგვრა? (შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

   არასოდეს ზოგჯერ ბევრჯერ

3. სად ხდება ეს?

   სკოლაში

   კლასში

   შესვენებაზე

   სკოლის სასადილოში

   დერეფანში

   გზაზე სკოლისაკენ ან სკოლიდან

   სხვაგან

4. რა არის დამამცირებელი საქციელი?

   ცემა

   მბრძანებლობა

   მუქარა

   გამასხარავება ან წვალება

   გუნდად შეკვრა და სხვისი წვალება

   სხვა

5. ჩამოთვალეთ რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც ამცირებენ ადამიანები სხვას.

6. როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს და სხვა გაერთიანებებს, იზრუნონ სკოლაში დამამცირებელი მოპყრობის შესამცირებლად?

2.1. საკითხავი მასალა

http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/sadamrigeblo_saati_V_IX_klasi.pdf

https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-6?fbclid=IwAR3ejhzZOLJOk8PFiIZWL9wCwGz5mN2Z9wGGCGLLP0SOIbi3wjW1xtOUU2M

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.11&d=HASHc37156e61d02bc72647538.5.9&fbclid=IwAR1-8vjO3j6tBo0I8qDZmJa57cGoZ9Dvm6VX8Titgxtn4LXwsX3qO9syVIE

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები საავტორო უფლებები © Project Harmony, Inc., 2011, როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე ნინო ბესელია ნინო ბოკერია მაკა კორძაძე

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები საავტორო უფლებები © Project Harmony, Inc., 2011თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის ნინო გვარამაძე ნინო მიწიშვილი

2.2. ვიდეოები, ფილმები

http://net.adjara.com/Movie/main?id=3623 - კლასი - მხატვრული ფილმი;

https://www.youtube.com/watch?v=gOC1uPOxQuM - ,,ტბა“ - მხატვრული ფილმი

http://net.adjara.com/Movie/main?id=12369 - ,,საფრთხობელა“ - მხატვრული ფილმი;

http://net.adjara.com/Movie/main?id=1002362&serie=1 ,,13 მიზეზი“ - მხატვრული ფილმი;

http://net.adjara.com/Movie/main?id=1682&q=SD&s=Georgian ,,მკვდარი პოეტების საზოგადოება“ - მხატვრული ფილმი

http://net.adjara.com/Movie/main?id=1682&q=SD&s=Georgian ,,ბავშვზე ძალადობა“ - სოციალური ექსპერიმენტი

https://www.youtube.com/watch?v=dL5SQM-ZHkA - მოძალადე მამა - სოციალური ექსპერიმენტი

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-6?fbclid=IwAR00yH926MZnak9yEJdKJr_Kn30DrzqmUaVlHjbwkgtMG4fDGnc4qnzymLI

სადამრიგებლო საათის პროგრამა V-IX კლასების დამრიგებლებისთვის, საუბრები მოსწავლეებთან პიროვნების მორალურ განვითარებაზე, გარემოსდაცვით კულტურასა და ცხოვრების ჯანსაღ წესზე, მოქალაქეობრივ, პარტნიორულ ცნობიერებასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ღირებულებებზე. - ნინო ლაბარტყავა, ანასტასია ქიტიაშვილი, 2011 წელი.

დანართი 5

დაზუსტებული სადამრიგებლო გეგმის ფორმის ნიმუში
ივსება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში და, საჭიროების შემთხვევაში, ზუსტდება მეორე სემესტრის დასაწყისში.

სარჩევი

1. დამრიგებლის საკონტაქტო ინფორმაცია
2. დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები კონკრეტული საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე
3. დამრიგებლის რეფლექსია
4. დამრიგებლის მუშაობის მიზნები კონკრეტულ კლასში
5. მოსწავლეთა მონაცემები
6. კლასის ცხრილი პედაგოგების მითითებით
7. დამრიგებლის ცხრილი
8. სახელმძღვანელოები
9. კლასში გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები
10. სადამრიგებლო საათის თემები (მიმართულებების მიხედვით) შეხვედრის საჭირო რაოდენობის მიხედვით
11. დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი

სადამრიგებლო საათის გეგმის შაბლონი

#	**კლასი**	
1	**დამრიგებელი**	
2	**თემა**	
3	**მოსწავლეთა პროფილი**	
4	**დრო**	
5	**მიმართულება, რომელსაც ეთმობა სადამრიგებლო საათი**	
6	**სადამრიგებლო საათი მიზანი**	
7	**მოსწავლეთა წინარე ცოდნა/გამოცდილება**	
8	**აქტივობები, მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმები, თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი დრო**	
9	რესურსები	
10	შეფასება/თვითშეფასება	
11	შედეგი	
12	თვითშეფასება	

ჩატარებული სადამრიგებლო საათის რეფლექსიის საორიენტაციო შეკითხვები

- ❖ იქნა თუ არა მიღწეული სადამრიგებლო საათის მიზანი და რაში გამოიხატებოდა ეს?
- ❖ რომელი აქტივობები იყო ეფექტური და რატომ?
- ❖ რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რამ განაპირობა ეს?
- ❖ რომელი აქტივობები ვერ განხორციელდა და რატომ? რომელი აქტივობების მოდიფიცირება მოხდა და როგორ?
- ❖ რა საჭიროებს გაუმჯობესებას? რა ხარვეზები გამოვლინდა გაკვეთილზე და რა იყო ამის მიზეზი?
- ❖ რას და როგორ გავითვალისწინებ მომავალში? ამ სადამრიგებლო საათს თავიდან რომ ვგეგმავდე/ვატარებდე, რას შევცვლიდი? პროფესიული განვითარების რომელ გზებს მივმართავ ამისთვის და რატომ იქნება ეს ეფექტური?

სადამრიგებლო საათზე დაკვირვების სქემის ნუმუში

მახასიათებლები	დიახ	ნაწილობრივ	არა	რეკომენდაციები/დამატებითი კომენტარი
სადამრიგებლო საათი ორგანიზებულად მიმდინარეობს, ჩანს, რომ დამრიგებელს დაგეგმილი აქვს იგი				
სადამრიგებლო საათის თემა შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებულ ასაკის შესაბამის მიმართულებას/მიმართულებებს				
დამრიგებელს გამოკვეთილი აქვს სადამრიგებლო საათის მიზანი				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული აქტივობები მიზნის შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული მეთოდები აქტივობების შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული კლასის ორგანიზების ფორმები გამოყენებული აქტივობების და მეთოდების შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული რესურსები მიზნობრივია				
სადამრიგებლო საათზე მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია				
სადამრიგებლო საათზე დამრიგებელს შემუშავებული აქვს უკუკავშირის მექანიზმი და				

ეფექტიანად იყენებს მას				

უკუკავშირის ნიმუში სადამრიგებლო საათზე
კლასი:

დამრიგებელი:

დამკვირებელი/დამკვირებლები:

სადამრიგებლო საათის თარიღი:

სადამრიგებლო საათის თემა:

მახასიათებლები	დიახ	ნაწილობრივ	არა	დამატებითი კომენტარი
სადამრიგებლო საათი ორგანიზებულად მიმდინარეობს, ჩანს, რომ დამრიგებელს დაგეგმილი აქვს იგი				
სადამრიგებლო საათის თემა შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებულ ასაკის შესაბამის მიმართულებას/მიმართულებებს				
დამრიგებელს გამოკვეთილი აქვს სადამრიგებლო საათის მიზანი				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული აქტივობები მიზნის შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული მეთოდები აქტივობების შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული კლასის ორგანიზების ფორმები გამოყენებული აქტივობების და მეთოდების შესაბამისია				
სადამრიგებლო საათზე გამოყენებული რესურსები მიზნობრივია				
სადამრიგებლო საათზე მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია				
სადამრიგებლო საათზე დამრიგებელს შემუშავებული აქვს უკუკავშირის მექანიზმი და ეფექტიანად იყენებს მას				

ძლიერი მხარეები:

#	გასაუმჯობესებელი მიმართულებები	რეკომენდაციები
1		
2		
3		

მოსწავლის სახელი, გვარი:
სასწავლო წელი:
მოსწავლის ზოგადი დახასიათება (ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები აკადემიური, სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში. სხვა არსებითი საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის)
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

საგანი	განვითარებული მიმართულება/მიმართულებები	გასავითარებელი მიმართულება/მიმართულებები	რეკომენდაცია/რეკომენდაციები-რა უნდა გააკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლის სუსტი მხარეები დაიძლიოს
ქართული ენა და ლიტერატურა			
მათემატიკა			

ბუნებისმეტყველება			
მე და საზოგადოება			
მუსიკა			
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება			
I უცხოური ენა			
სპორტი			

დანართი 7

მოსწავლე:

საგანი:

ზოგადი ხასიათის პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ჩავარდნა; ამ პრობლემების სავარაუდო

მიზეზები.

_____

_____

_____

_____

_____

სპეციფიკური ხასიათის პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ჩავარდნა; ამ პრობლემების სავარაუდო მიზეზები.

_____

_____

_____

_____

იყო თუ არა აღნიშნული მოსწავლე წარუმატებელი შუალედური და სემესტრული შეფასებისას? სასწავლო წლის განმავლობაში რას აკეთებდით იმისთვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესებულიყო და რა იყო წარუმატებლობის განმაპირობებელი ფაქტორები (ჩამოწერეთ კონკრეტული საქმიანობები და აღნიშნეთ მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის პასუხისმგებლობები, რომლებიც ამა თუ იმ მხარემ ვერ/არ შეასრულა)

_____

_____

_____

_____

_____

რის გაკეთება შეიძლება პრობლემების გადასაჭრელად მომავალ სასწავლო წელს (ჩამოწერეთ კონკრეტული საქმიანობები და აღნიშნეთ მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის პასუხისმგებლობები).

_____

_____

მშობელი .....

მასწავლებელი ..... თარიღი: